

რეგიონის ფიზიკურ–გეოგრაფიული შესწავლის მეთოდის დამუშავების და
საგურამო–იალონის ქედის ლანდშაფტური დახასიათების ცდა.

გიორგი მაღლაკელიძე

ელ.ფოსტა: giorgi.maghlakelidze482@ens.tsu.edu.ge ;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

სასემინარო ნაშრომში განხილულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემასთან დაკავშირებით თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების აქტუალური ამოცანა, ბუნების შესწავლის მეთოდის დამუშავება და ამ მეთოდით ბუნების შესწავლა, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების და ოპტიმიზაციის მიზნებისათვის. მუშაობისას კვლევის საგანს წარმოადგენდა ჩვენი კვლევისათვის საჭირო ფიზიკურ–გეოგრაფიული, ლანდშაფტური და ლანდშაფტურ–გეოფიზიკური კვლევის მეთოდის თავისებურებების დამუშავება და ამ მეთოდით რეგიონის დახასიათება. საკვლევი რეგიონი საგურამო იალონის ქედი, ანუ ყოფილი მარტყოფის ფიზიკურ–გეოგრაფიული სტაციონარის მიდამოები. სასემინარო ნაშრომში გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები. რეფერატიული მასალების საფუძველზე მოვიპოვეთ და შევადგინეთ ფიზიკურ–გეოგრაფიული და ლანდშაფტური კვლევის მეთოდისა. ამ მეთოდის საფუძველზე ჩატარდა საგურამო–იალონის ქედისა და მიმდებარე ტერიტორიების ფიზიკურ გეოგრაფიული დახასიათება